პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 84 (11088)

ოთხშაბათი, 9 აპრილი, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ღონისძიებებმა, რომლებიც შეიმუშავეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. ეს ღონისძიებანი ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

სესიის მიერ მიღებული ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები ახალი დიდი ნაბიჯია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი მძლავრი განვითარებისა და მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის დაცვის, ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში. ამ ღონისძიებებს როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ და პრაქტიკულად შეუდგნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას.

სსრ კავშირის მთავრობის მეთაურმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის საბოლოო სიტყვაში სესიაზე განაცხადა: „სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანის გადაწყვეტის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას. მთავარია უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების შემდგომი ზრდა, რათა უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ჩვენ შეგვიძლია ამას მივაღწიოთ იმ პირობით, თუ სავსებით გადავჭრით ფურაჟის. საკვების საკითხს“.

სწორედ ახლა, საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდში კოლმეურნეობებმა საკუთარი ტექნიკით პრაქტიკულად უნდა განახორციელონ პარტიის მიერ დასახული ამოცანები. ეს პერიოდი ნამდვილად ახალი ეტაპია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის გზაზე. ეჭვი არ არის, რომ მოწინავე კოლმეურნეობები შეძლებენ არა მარტო იყიდონ, არამედ უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა და წარმატებით გადაჭრან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანა.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეები, მექანიზატორები ბეჯითად შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონებიდან, კოლმეურნეობებიდან ყოველდღიურად მოდის ცნობები, მშრომელთა წერილები, რომლებითაც ისინი იტყობინებიან, რომ ახალ პირობებში ახლებურად მუშაობენ და პირველ წარმატებებსაც აღწევენ. მაგალითად, სილნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობამ მტს-ისაგან 17 ტრაქტორი შეიძინა. დროულად, ორგანიზებულად შეუდგა საგაზაფხულო სამუშაოებს. კოლმეურნე მექანიზატორებმა უკვე გადაჭარბებით გაანაღდეს საგაზაფხულო ქერისა და მზესუმზიისა თესვის გეგმები. ტიბაანელებმა გადაწყვიტეს წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 15 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13,6 ცენტნერისა, 35 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 17 ცენტნერისა, ჰექტარზე ყურძნის მოსავლიანობა აიყვანონ 80 ცენტნერამდე, როცა გეგმა 60 ცენტნერს ითვალისწინებს.

ამ დღეებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს ადგენენ ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსნის კოლმეურნეები. მტს-ის მექანიზატორები დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფელს და თავდადებით შრომობენ. ტრაქტორისტი ს. ელოევი „დტ-54“ მარკის ტრაქტორით ხეხილის ბაღში ხვნის ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. ტრაქტორისტმა ყ. კუძიევმა უკვე დაამთავრა შაქრის ჭარხლის თესვა. საგულსხმოა ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საქმიანობა. მარწმან 1 აპრილისათვის მტს-ს თესვის სამუშაო კანტი-კუნტად ჰქონდა დაწყებული. ახლა აქ საკუთარი ტექნიკის გამოყენებით რამდენიმე ათეული ჰექტარი სიმინდია დათესილი.

საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი ყოველდღიურად ძლიერდება წითელწყაროს, ლაგოდეხის, ბოლნისის, მარნეულის, მცხეთის, თელავის, ხობის, ზუგდიდის, მახარაძის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. რესპუბლიკის კოლმეურნეობები წელს შარშანდელთან შედარებით უფრო ორგანიზებულად, შემოქმედებითად შრომობენ. 5 აპრილისათვის სულ დათესილია 46.750 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება, საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულება, შეიძლება ითქვას, მთლიანად დამოკიდებულია კოლმეურნეობათა გამგეობებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების უნარიან, მოქნილ მუშაობაზე, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კონკრეტულ, ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე. ამჟამად თვითეული დღე, საათი გადამწყვეტია საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

კვლავ მთავარი ამოცანაა კოლმეურნეობათა განმტკიცება გამოცდილი კადრებით. ეს სწორი გზაა. ამ გზით საჭიროა მოწინავეთა დონემდე წამოვწიოთ ყველა კოლმეურნეობა. ამასთან ერთად, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების სწრაფი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა მოწინავე კოლმეურნეობების გამოცდილების, მეცნიერების მიღწევების უნარიანი გამოყენება და წარმოებაში დანერგვა. ჯერ კიდევ არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებსაც ერთხაირი პირობები აქვთ, შედეგები კი სხვადასხვა. ამ მხრივ საჭიროა განსაკუთრებით გავამახვილოთ ყურადღება, რათა ჩამორჩენილი კოლმეურნეობები უახლოეს ხანში გაუთანასწორდნენ მოწინავეებს.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნის ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს კოლმეურნეობათა ეკონომიკის უფრო მეტად გაძლიერება, უნდა გამოიწვიოს განუყოფელი ფონდების გადიდება, წარმოების ორგანიზაციის სწორად დაყენება და ამ გზით კოლმეურნეთა მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ამ ახალ პირობებში სარემონტო-ტექნიკური სადგურების გადაუდებელი ამოცანაა დროულად, მაღალი ხარისხით შეასრულონ ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტი, გააუმჯობესონ კოლმეურნეობების ტექნიკური მომსახურება, სათადარიგო ნაწილებით, ნავთობპროდუქტებით, სასუქებით, შხამქიმიკატებით და სხვა საწარმოო მნიშვნელობის საქონლით მომარაგება, უზრუნველყონ კოლმეურნეობებისათვის ახალი ტექნიკის მიყიდვა.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, პარტიის დიდ ზრუნვას უპასუხებენ სასახელო საქმეებით, არ დაიშურებენ ცოდნასა და ენერგიას სოფლის მეურნეობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲰᲐᲠᲝᲚᲓ ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

5 აპრილს სსრ კავშირის ელჩმა ინგლისში ი. ა. მალიკმა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს ა. ნობლს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანისათვის გადასაცემად ჩააბარა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი.

ქვემოთ ქვეყნდება წერილის ტექსტი.

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

საერთაშორისო ურთიერთობის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი საკითხი, რომელიც განსაკუთრებით დიდად აღელვებს მილიონობით ადამიანს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, არის საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს სხვადასხვა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. ადვილი გასაგებია ის დიდი შეშფოთება, რომელსაც მოსახლეობის ყველა ფენაში, დაწყებული პოლიტიკური მოღვაწეებითა და მეცნიერი სპეციალისტებით და გათავებული ქალაქებისა და სოფლების უბრალო ადამიანებით, რიგითი მშრომელებით, ოჯახთა დედებით, იწვევს ატომგულის იარაღის ექსპერიმენტული აფეთქებანი, რომლებიც კვლავ გრძელდება. ცნობილია, თუ რა შეშფოთებას იჩენენ ატომისა და წყალბადის იარაღის გამოცდის გამო, რაც კვლავ გრძელდება, ინგლისის საზღვაგადოებრივი წრეები, რომლებსაც შეგნებული აქვთ, რა უბედურება შეიძლება მოუტანოს ატომურმა ომმა დიდ ბრიტანეთსაც უკვე მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. ეს გამოცდები ხომ აჩქარებს გამალებულ შეიარაღებას, ემსახურება ახალ უფრო დამანგრეველ და მომაკვდინებელ სახეობათა ატომგულის იარაღის შემუშავების საქმეს და ამით სულ უფრო აძლიერებს ატომური ომის საფრთხეს, რომელიც კაცობრიობას ემუქრება.

უფრო მეტიც, ატომური და წყალბადის იარაღის სისტემატური აფეთქება ექსპერიმენტული მიზნით უკვე ახლა, მშვიდობიან დროს, ზიანს აყენებს ჯანმრთელობას სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობიანი, სრულიად უდანაშაულო მცხოვრებლებისა, რომლებსაც ფიქრადაც კი არ მოსდით ეს. პეტიციაში, რომელსაც ხელს აწერს 44 ქვეყნის 9.235 მეცნიერი, მათ შორის დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, და რომელიც ამა წლის იანვარში გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ნათქვამია, რომ ატომგულის ბომბის ყოველგვარი გამოცდა ზრდის რადიაქტიური ნალექების რაოდენობას მსოფლიოს ყველა ნაწილში, რითაც ზიანს აყენებს მთელი მსოფლიოს ადამიანთა ჯანმრთელობას და საფრთხეს უქმნის მომავალ თაობათა ნორმალურ განვითარებას.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, საბჭოთა მთავრობა მივიდა დასკვნამდე, რომ აღარ შეიძლება გადაიდოს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრა, რადგან არ შეიძლება დაშვებულ იქნას, რომ ადამიანთა ჯანმრთელობას გამოუსწორებელი ზიანი მოუვიდეს.

დღეს ატომგულის იარაღი აქვს მხოლოდ სამ სახელმწიფოს — სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს — ამიტომ შედარებით ადვილი მისაღწევია შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. თუ გამოცდა არ შეწყდება ახლა, რამდენიმე ხნის შემდეგ ატომგულის იარაღი შეიძლება ჰქონდეთ სხვა ქვეყნებსაც, და ასეთ პირობებში, რასაკვირველია, უფრო რთული იქნება შეთანხმების მიღწევა გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საბჭოთა მთავრობამ მრავალგზის მიმართა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს წინადადებით ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. რამდენადაც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ არ მოისურვეს დათანხმებულიყვნენ ატომგულის იარაღის გამოცდის უდავო შეწყვეტაზე, სსრ კავშირმა წამოაყენა წინადადება შეწყდეს ეს გამოცდა თავდაპირველად თუნდაც განსაზღვრული ვადით, მაგალითად, ორი-სამი წლით. სსრ კავშირის წინადადებანი ამ საკითხზე ითვალისწინებენ გამოცდის შეწყვეტისადმი საჭირო საერთაშორისო კონტროლის დაწესებას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა შეთანხმება, რომ გადაიჭრას საკითხი ატომგულის იარაღის გამოცდის უთუოდ და დაუყოვნებლივ შეწყვეტის და თუნდაც დროებით შეწყვეტის შესახებ.

ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით პრაქტიკულად ჩაუყაროს საფუძველი იმას, რომ ყველგან შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, და ამით გადაიდგას პირველი ნაბიჯი გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის საბოლოო გადარჩენის მიმართულებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა შეწყდეს საბჭოთა კავშირში ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის წარმოება.

საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ დადგენილების შესასრულებლად **მიიღო გადაწყვეტილება ცალმხრივად შეწყვიტოს 1958 წლის 31 მარტიდან ყოველი სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის წარმოება.**

საბჭოთა მთავრობა მიმართავს დიდი ბრიტანეთის მთავრობას, აგრეთვე შეერთებული შტატების მთავრობას წინადადებით შეუერთდნენ ამ ღონისძიებას.

თუ იმ ქვეყნების მთავრობები, რომლებსაც ამჟამად აქვთ ატომგულის იარაღი, მხარს დაუჭერენ სსრ კავშირის ამ წინადადებას და თავის მხრივ მიიღებენ გადაწყვეტილებას უარი თქვან შემდგომ გამოცდაზე, საკითხი, რომელიც დიდად აღელვებს მთელი მსოფლიოს ხალხებს, ბოლოს და ბოლოს გადაიჭრება და ამით გადადგმული იქნება დიდი ნაბიჯი წინ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის განმტკიცებისა და ნდობის დამყარების გზაზე.

მაგრამ თუ იმ ქვეყნების მთავრობები, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ, არ მოისურვებენ გამოეხმაურონ საბჭოთა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას და ამჯობინებენ წინანდებურად დატოვონ ყოველივე, განაგრძობენ ატომური და წყალბადის იარაღის ექსპერიმენტებს, ასეთ შემთხვევაში საბჭოთა კავშირს თავისი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, რასაკვირველია, არ ექნება სხვა გამოსავალი, თუ არა ის, რომ მიიჩნიოს თავისი თავი განთავისუფლებულად ნაკისრი ვალდებულებისაგან ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. საბჭოთა მთავრობას არა სურს, რომ საქმე ამგვარად შემობრუნდეს. მას იმედი აქვს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა შეუერთდება საბჭოთა კავშირის ინიციატივას და ამით შესაძლებელს გახდის, რომ ატომგულის იარაღის გამოცდა ყველგან შეწყდეს სამარადისოდ.

ეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იმ გზაზე, რომ დავიცვათ ადამიანები უბედურებისაგან, რომელსაც უქმნის მათ თანამედროვე ატომგულის იარაღი, დიდად შეამსუბუქებს მოძრაობას წინ, იმ ამოცანის გადაჭრისაკენ, რომ სავსებით ავაცილოთ ხალხებს ატომური ომის საფრთხე. ატომურ და წყალბადის იარაღზე ექსპერიმენტების შეწყვეტა სერიოზულად გაუმჯობესებს საერთაშორისო პოლიტიკურ ატმოსფეროს მთლიანად და შექმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს სხვა მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისათვის.

ნება მიბოძეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, იმედი გამოვთქვა, რომ საბჭოთა მთავრობის ზემოთ წამოყენებულ წინადადებებს დადებითად მოეკიდება დიდი ბრიტანეთის მთავრობა.

გულწრფელი პატივისცემით.

ნ. ხრუშჩოვი

მის აღმატებულებას

ჰაროლდ მაკმილანს,

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა ნულია

საბჭოთა კავშირის პარტიის და მთავრობის დელეგაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 7 აპრილი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ეწვია სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივს ქალაქ კარცაგის (სოლნოკის ოლქი) რაიონში. დელეგაციას ახლდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ანტონ დომი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი კაროლ კიში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ლაიოშ ფეხერი და მიწათმოქმედების მინისტრი იმრე დეგი.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები და უნგრეთის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები წავიდნენ ქალაქ ცეგლედში.

ცეგლედში საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად გაიმართა მიტინგი. საბჭოთა დელეგაციის წევრებს მიესალმა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი იმრე სელეჰენი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხანაგმა ა. პ. ბოიკოვამ. შემდეგ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ხ. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

პარტიისა და მთავრობის დელეგაცია შემდეგ ეწვია ქალაქ სოლნოკს. აქ კომუტის მოედანზე შეიკრიბა 15 ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე, აგრეთვე გლეხები. დელეგაციას მიესალმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის სოლნოკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლაიოშ ცინეგე. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ფ. რ. კოზლოვმა. შემდეგ მიტინგის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა დელეგაციის მეთაური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ხანმოკლე შესვენების შემდეგ საბჭოთა დელეგაცია გაემართა ქალაქ კარცაგისაკენ. აქ მიტინგზე საბჭოთა დელეგაციას მიესალმა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი იშტვან კოვაჩი. საბჭოთა დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრმა უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ე. შელესტმა. მიტინგის მონაწილეები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას.

მიტინგის შემდეგ საბჭოთა დელეგაცია წავიდა საწარმოო კოოპერატივ „ბეკეში“ („მშვიდობა“).

პარტიის კარცაგის საქალაქო კომიტეტმა, საქალაქო საბჭომ და კოოპერატივ „მშვიდობის“ ხელმძღვანელებმა სადილი გამართეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ლასლო სენტგეშიმ და ნ. ხ. ხრუშჩოვმა მეგობრული სადღეგრძელოებით მიმართეს ერთმანეთს.

სადილის შემდეგ საბჭოთა დელეგაცია სპეციალური მატარებლით ბუდაპეშტში წავიდა.

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲚᲝᲗ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲓᲛᲐᲘᲡᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

გადიდებულ დავალებებს პირნათლად ანაღდებენ

ჩაება რა სამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, „ტყვარჩელქვანახშირის“ სტალინის სახელობის შახტის მოწინავე გამყვანი მ. კოშაძე ყოველდღიურ დავალებებს 175-200 პროცენტით ახრულებს.

სურათზე: მ. კოშაძე.

ფოტო ხ. კოროტკოვისა.

საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის მექანიკური ქარხნის კოლექტივი რიტმულად მუშაობს, მიუხედავად საგეგმო დავალების გადიდებისა დიდი გადაჭარბებით ასრულებს .აგურის — ამ ძირითადი საკედლე საშენი მასალის გამოშვების დავალებებს. წელს საბურთალოელ მეაგურეებს თითქმის ორი მილიონი ცალით გაუდიდეს წლიური გეგმა, მაგრამ მათ ისე კარგად მოაწყეს შრომა, იმდენად გააუმჯობესეს წარმოების მეთოდები და ტექნიკა, რომ იანვარსა, თებერვალსა და მარტის პირველ ნახევარში უკვე შეძლეს გეგმის გადამეტებით ასეულათასობით მაღალხარისხოვანი აგურის გამოშვება.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მეაგურეებმა მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში საწარმოს მისცეს 200.000 მანეთი დაგროვება და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების 2,7 პროცენტით გადიდებას.

მეტი აგურის გამოშვებისათვის ბრძოლაში დაწინაურებულთა შორის არიან გამომწველი ა. მხეიძე, მტვირთავი მ. როსტიაშვილი, ჩამწყობი ე. შუბითიძე, დანადგართა შემკეთებელი ხარატი ა. კუზნეცოვი და მემანქანე ბ. სოზიაშვილი.

აგურის ქარხნის მოწინავე ადამიანები ამჟამად პირველი მაისის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და ახალ გამარჯვებებს აღწევენ.

საშენი მასალეგი გეგმის გადამეტებით

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს მოწინავე საწარმოების — მეტეხის აგურის ქარხნის, თბილისის ქვის დამმუშავებელი ქარხნის და მოწამეთის კირის ქარხნის კოლექტივებმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმები ვადამდე და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს.

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის — 1 მაისის აღსანიშნავად დასახელებული საწარმოების მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა იკისრეს 1 აპრილამდე კვარტალური გეგმის გადამეტებით მშენებლებისათვის მისაწოდებლად გამოუშვან 2 მილიონი ცალი აგური, 400 ათას მანეთად ღირებული სამშენებლო მარმარილოს ნაწარმი და 500 ტონა კირი. ეს კოლექტივები თავდადებით შრომობენ ნაკისრი ვალდებულებების გასანაღდებლად.

კერამიკოსეგი წარმატებით შრომობენ

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა, ორთვენახევარში — 15 მარტისათვის შეასრულა კვარტალის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 5.897 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 150 ათასი მანეთის ფართო მოხმარების კერამიკული ნაწარმი.

წელს კერამიკოსებმა აითვისეს და უკვე მასობრივად გამოუშვეს ქართული ეროვნული სტილის მიხედვით ნაკეთები საოჯახო სურები, საყვავილე ვაზები და სხვა მხატვრულ-კერამიკული ნაწარმი. 60.000 მანეთის ასეთი კერამიკული ნაწარმი კერამიკოსებმა გაუგზავნეს მოსკოვის სავაჭრო ქსელს.

ახლა კერამიკოსები იმზადებიან იმისათვის, რომ კიდევ უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — 1 მაისს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში კ. ე. ვოროშილოვის გამგზავრების შესახებ

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი მიიწვია მეგობრობის ვიზიტით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა დიდი მადლობით მიიღო ეს მიწვევა და განზრახული აქვს ესტუმროს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ა. წ. აპრილის მეორე ნახევარში.

ნეპალის მეფისა და დედოფლის მომავალი სახელმწიფო ვიზიტისათვის საბჭოთა კავშირში

რამდენიმე ხნის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და პირადად თავისი სახელით მის უდიდებულესობას ნეპალის მეფეს მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევას გაუგზავნა მოწვევა ესტუმროს დედოფალთან ერთად საბჭოთა კავშირს ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტით.

ნეპალის მეფემ მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევამ თავისი სახელით და დედოფლის სახელით მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და კ. ე. ვოროშილოვს და აცნობა, რომ იღებს მიწვევას.

მათი უდიდებულესობების ნეპალის მეფისა და დედოფლის სახელმწიფო ვიზიტს სსრ კავშირში მოელიან 1958 წლის ზაფხულში.

(საკდესი).

მ ო კ ლ ე ე

◎ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის 1958 წლის I კვარტალის გეგმა. 1 აპრილისათვის ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით, რძისა — 103 პროცენტით და კვერცხის — 129 პროცენტით. სულ დამზადებული და შესყიდულია 570 ათასი ტონა ხორცი, 2 მილიონ 864 ათასი ტონა რძე და 1 მილიარდ 45 მილიონი ცალი კვერცხი.

• • •

◎ 1955-1957 წლებში თევზის ჭერისა და დამუშავების სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა ტიუმენის ოლქის თევზის მრეწველობის, მებადურთა კოლმეურნეობების, საბჭოთა, პარტიული და კომკავშირული ორგანოების მუშაკები — სულ 326 კაცი.

საკოლმეურნეო თევზჭერის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის და თევზჭერაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა კ. ა. ვანიუტოსა და ს. ხუდის.

მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაცია გენიჩესკში

გენიჩესკი. 7 აპრილი. აქ მახარაძიდან მოვიდა 22 ვაგონისაგან შემდგარი მატარებელი არაჩვეულებრივი ტვირთით — მარადმწვანე და სხვა ჯიშების ხეებისა და ბუჩქების ნერგებით. მატარებელს ჩამოჰყვნენ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად ხაკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი აგრონომი ს. ი. ვაშალომიძე, სოფელ მელეკედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი აგრონომი ლ. გ. წუწუნავა და სოფელ ბახვის კარლ მარქსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე ვ. ლ. შათირიშვილი. გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გენიჩესკელების შეხვედრას მახარაძის რაიონის მშრომელებთან. მზიური საქართველოს წარმოგზავნილებს გულითადად მიესალმა პარტიის გენიჩესკის რაიკომის მდივანი გ. ვ. ალხომოვი. მან თქვა, რომ წელს როგორც გენიჩესკელები, ისე მახარაძელები აღნიშნავენ ლენინშესანიშნავ თარიღს — მეგობრობისა და შეჯიბრების მე-20 წლისთავს.

მიტინგზე გამოვიდა მახარაძის რაიონის მშრომელთა წარმომადგენელი ვაშალომიძე, რომელსაც ყველა დამსწრენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

მიტინგი გადაიქცა ორი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა წლითიწლობით მზარდი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად.

ივ. ლოშაკი,

ხერსონის გაზეთ „ნადდნიპრიანსკაია პრავდის“ კორესპონდენტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ

5 აპრილს ინგლისში ი. ა. მალიკმა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს ა. ნობლს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანისათვის გადასაცემად ჩააბარა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი.

ქვემოთ ქვეყნდება წერილის ტექსტი.

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

საერთაშორისო ურთიერთობის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი საკითხი, რომელიც განსაკუთრებით დიდად აღელვებს მილიონობით ადამიანს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, არის საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს სხვადასხვა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. ადვილი გასაგებია

სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისა და მშვიდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები

★ ★ ★

მშრომელთა ინტერესებისათვის

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი შეეკრიბა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის შედეგებს.

მოხსენება სესიის მუშაობის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ა. გეგეშიძემ, რომელმაც შეკრებილთ გააცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებანი.

— კანონი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც სესიამ მიიღო ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, — ამბობს იგი, — კიდევ უფრო განამტკიცებს კოლმეურნეობათა ეკონომიკას, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის რაც შეიძლება სწრაფად შექმნას ჩვენს ქვეყანაში.

სესიამ ერთსულოვნად, დიდი აღმავლობით მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი გამოხატავს საბჭოთა ხალხის ნებასა და მისწრაფებას მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისადმი.

ტრიბუნაზეა საინსტრუმენტო ტრიბუნაზე ადის მეორე სართავი საამქროს უფროსი ვ. გამყრელიძე.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას ჩვენს ქვეყანაში ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ,—ამბობს იგი, — ყველა კეთილ ნების ადამიანი შეხვდა როგორც დიდმნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მსოფლიოში უშიშროების განმტკიცების საქმეში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ღონისძიება მიიღო ჩვენმა საბჭოთა სახელმწიფომ, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლო მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია.

— კანონს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ, — ამბობს ოსტატის თანაშემწე ა. მიშჩენკო, — უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. გზა გაეხსნა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას, ჩვენი ქვეყნის ახალ აყვავებას.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე მეკოტონე ნ. ლურსმანაშვილი და გადამხვევი ა. საზონოვა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის კანონსა და დადგენილებებს. (საქდესი).

მთამაგონებელი შედეგები

თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენ ქარხანაში გიმართა მუშათა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მოისმინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. მელაძის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგების შესახებ.

— საბჭოთა საქართველოს მშრომელები, — ამბობს ამხ. მელაძე, — უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სესიის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ყველა საბჭოთა ადამიანის ურყევ ნებას გამოხატავენ. ამ ისტორიულ დოკუმენტებში განსაზღვრულია საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანები თანამედროვე პირობებში, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, დასახულია მთულ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების გზები.

საამქროს ხარატი ნ. არუსტამოვი. იგი ამბობს:

— ჩვენ, მანქანათმშენებლები, მხურვალედ ვიწონებთ ახალ კანონს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას.

მიტინგზე გამოვიდნენ მექანიკური საამქროს ამწყობი-ზეინკალი დ. ხახვიაშვილი, ქარხნის დირექტორი დ. ჟორჟოლიანი, მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატი ვ. ნიკოლოვა და სხვები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სესიის დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიესალმება.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, შილდის

პრაქტიკულად ახორციელებენ სესიის გადაწყვეტილებებს

★ ★ ★

უვარელი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). თავის მშობლიურ კოლმეურნეობაში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ნასყიდ ნინიას-ძე კურდღელაშვილი, რომელიც იმყოფებოდა მოსკოვში სსრ კავშირის მუხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე.

მინდვრად სამუშაოდ გასულ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა სახელდახელო მიტინგზე ამხ. ნ. კურდღელაშვილი გამოვიდა მოხსენებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგების შესახებ.

— სესიის მიერ მიღებული ისტორიული კანონი „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“, — განაცხადა მან, — საკოლმეურნეო წარმოების ახალი მძლავრი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია. ამ საკითხზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. სიტყვით გამოსულმა ყველა დეპუტატმა ერთსულოვნად მოიწონა მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები.

მიტინგის მონაწილენი მხურვალე მოწონებით შეხვდნენ კურდღელაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიესალმება.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ციისკარიშვილი. მან აღნიშნა, რომ ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაოსახალხო განხილვისა და უმაღლესი საბჭოს სესიის დღეებში კოლმეურნეობამ სერიოზული ღონისძიებები განახორციელა მტს-ისაგან მიღებული ტექნიკის ეფექტურად გამოყენებისათვის. უკვე დათესილი გვაქვს საგაზაფხულო კულტურები გარდა სიმინდისა. სასიმინდე ნიადაგი მთლიანად მომზადებულია, შემოგომის ჯეჯილები დაზიგზაგებულია, ვენახების რიგთა შორის ხვნაც დამთავრების პროცესშია. ახლა ვაწყობთ სახელოსნოს მიხდვრად, სოფელში მოვაწყობთ მექანიკურ სახელოსნოს, მექანიზატორთა კვების გაუმჯობესების მიზნით შევიძენთ ერთ საველე სამზარეულოს, როგორც ჯარის ნაწილებში აქვთ, რომ ადგილიდან ადგილზე გადანაცვლების დროს ჩვენს ტრაქტორისტებს და კომბაინერებს ცხელი საჭმელი ყოველთვის ჰქონდეთ.

ამხ. ციისკარიშვილმა ტრაქტორისტებისაგან მოითხოვა, რომ ისინი თვალისჩინივით უვლიდნენ თვითეულ ტრაქტორს და ყოველდღიურად ზრდიდნენ შრომის ნაყოფიერებას.

ტრაქტორისტებმა გურამ ბექიტაშვილმა და რეზო თევდორაშვილმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

— ის ფაქტი, რომ ჩვენს სატრაქტორო ბრიგადას სათავეში უდგას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, — განაცხადეს მათ, — ბევრ რამეს გვავალებს. ყველა მექანიზატორის სახელით ვკისრულობთ პირნათლად შევასრულოთ სესიის გადაწყვეტილებანი, მოვიყვანოთ ყველა კულტურის უხვი მოსავალი, ამით გავაძლიეროთ ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკა, რაც მცირედი, მაგრამ თავისებური წვლილი იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მიტინგის შემდეგ კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა სამუშაოს მიაშურეს. დაკრძალეთ წესით მიმდინარეობს კომბაინებისა და პურეულის ასაღები სხვა იარაღ-მანქანების რემონტი, „კოშკებში“ შენდება ტექნიკის შესანახი ფარდული, ტრაქტორები შეუდგნენ მზრალის გადახვნას სიმინდისათვის, კოლმეურნე მევენახეები მასობრივად გავიდნენ საკოლმეურნეო ზვრებში სარემონტო სამუშაოების დასამთავრებლად, მემინდვრეობის ბრიგადები ამთავრებენ შემოდგომის ნათესების მეორე და მესამე მარგვლას.

დიდი გამოცოცხლებაა მეცხოველეობის ფერმებშიც.

უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული შილდელი კოლმეურნეები იბრძვიან ჰექტარზე 25 ცენტნერი ხორბლისათვის, მარცვლად 45 ცენტნერი სიმინდისათვის, 70 ცენტნერი ყურძნისათვის, თვითეულ საფურაქე ძროხაზე 1.300 ლიტრი რძის მიღებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ შილდელი კოლმეურნეები და მექანიზატორები ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებენ.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. კურდღელაშვილი (მარცხნივ) საკოლმეურნეო ვენახებში რიგთა შორის ხვნაზე მომუშავე **ტრაქტორისტს გ. ბურდიაშვილს** რჩევას აძლევს, როგორ უნდა გამოსწოროს მოტორის უწესივრობა მუშაობის დროს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

მახარაძეთა თაოსნობის პასუხად

სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა

★ ★

უფრო კეთილმოწყობილი გავხადოთ ხაშური

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გალამაზდა და დამშვენდა ქალაქი ხაშური. ფართო მასშტაბით გაიშალა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ორი წლის წინათ მთლიანად დამთავრდა რუსთაველის ქუჩის კეთილმოწყობა. 13.500 კვადრატულ მეტრზე დაიგო ასფალტი. ქუჩის ორივე მხარეს ერთი კილომეტრის მანძილზე დაირგო მრავალწლიანი წიწვიანი მცენარეები, შეკეთდა ტროტუარები და ბორდიურები. ქუჩის ორ ადგილზე — მდინარე სურამულასა და შოლაზე აიგო რკინაბეტონის ხიდი. განხორციელდა ავრეთვე ლენინის, სტალინის, ლესელიძის და ნაწილობრივ კავშირის ქუჩების კეთილმოწყობა. ქალაქი დაამშვენა სხვადასხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებმა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ელექტრო და რადიოქსელი.

ქალაქის საბჭოს აღმასკომმა მახარაძეთა თაოსნობის პასუხად შეიმუშავა ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმა. გეგმის თანახმად გათვალისწინებულია ორი რვა-რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი და სასტუმროს მშენებლობის დამთავრება, 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყება. გათვალისწინებულია დიდი სამუშაოების შესრულება ქალაქის ახალი წყალსადენის მშენებლობაზე, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ქალაქის დიდ მოთხოვნილებას სასმელ წყალზე. გარდა ამისა, წელს დამატებით აიგება ორი ელექტროკიოსკი, დამთავრდება მახარაძის ქუჩის კეთილმოწყობა. ფართოდ გაიშლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქის გამწვანებას.

ს. გელაშვილი,
ხაშურის ხალალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

წინათ და ახლა

ვისაც ამ ოცდაათ წლის წინათ ქალაქი ახალსენაკი — დღევანდელი ცხაკაია უნახავს, ახლა გაოცდება მისი გარდაქმნით, რაიონის მშრომელთა წარმატებებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში.

უკანასკნელი წლების მანძილზე რაიონის ცენტრი დამშვენდა ახალი საცხოვრებელი სახლებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობებით. ქალაქს შეემატა ახალი 100-საწოლიანი საავადმყოფო, იგი მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ლენინის ქუჩაზე შენდება რაიონული კულტურის სახლი. მას ექნება დიდი, 750-ადგილიანი დარბაზი, ორი ფოიე, მბრუნავი სცენა. დაწყებულია რუსული საშუალო სკოლისათვის გათვალისწინებული სამსართულიანი შენობის მშენებლობა. დაიგო ასფალტი ჩელიუსკინელების ქუჩაზე, მოიკირწყლა ცხაკაიას ქუჩა, გაკეთდა დახურული წყალსაწრეტები. მშრომელთა საყვარელი ადგილია ლამაზი საზაფხულო კინოთეატრი, რომელიც დეკორაციულ და მარადმწვანე ხეების ტიტრშია ჩაფლული. ქალაქის მთაზე გაშენებულია კულტურის პარკი...

დღითიდღე სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება რაიონის სოფლები. სოფელ ძველსენაკში ორი კლუბია — სასოფლო და საკოლმეურნეო. სოფელ გეჯეთში ახალი კლუბი აშენდა.

რაიონული საბჭოს სესიამ განიხილა მახარაძის, რაიონის მშრომელთა შესანიშნავი ინიციატივა და მიიღო კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 3-წლიანი გეგმა. განზრახულია ქალაქში აშენდეს ახალი კინოთეატრი 500 მაყურებლისათვის. სოფლის კლუბებს აიგებენ ლეძაძამესა და ბეთლემში, ხოლო ძველი სენაკისა და ფოცხოს კლუბები გადაკეთდება კულტურის სახლებად. გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობას და სოფელ ზანას ექნებათ დიდი სასოფლო ბიბლიოთეკები. სკოლების შენობები აიგება ახალსოფელში, ნაქალაქევში, ზანაში, ხორშაში, ზემო ჭალადიდსა და რაიონის სხვა სოფლებში კეთილმოწყობილი გახდება 171 კილომეტრის სიგრძის გზა. დამატებით გაიყვანენ წყალსადენს 23 კილომეტრზე, ხოლო რადიოქსელს — 61 კილომეტრზე. საკუთარი საავადმყოფო ექნება 5 დიდ სოფელს. მოეწყობა 6 სასპორტო მოედანი. გაიხსნება 11 სავაჭრო წერტილი, 14 სხვადასხვა სახის სამკურნალო დაწესებულებები და სხვ.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ცხაკაია. კულტურის სახლის მშენებლობა.

ცხოვრებით ნაკარნახევი ღონისძიებანი

⊙

დ. გოგოლია,
საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

⊙

პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დოკუმენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, გამოთქვამენ ერთსულოვან მზადყოფნას წარმატებით განახორციელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიული სესიის გადაწყვეტილებანი და ამით ახალი დიდი ნაბიჯი გადადგან კომუნიზმის გზაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებები საბჭოთა ხალხს ახალი გამარჯვებებისათვის აღფრთოვანებს. ამ დღეებში აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. უკვე ორი წელია რესპუბლიკის კოლმეურნეობებს თამბაქოს მაღალი მოსავალი მოჰყავთ, სახელმწიფოს მეტ არომატიან ნედლეულს აბარებენ. ამჟამად შარშანდელთან შედარებით კიდევ უკეთეს აგროტექნიკურ ვადებში სრულდება ყველა სამუშაო თამბაქოს პლანტაციებსა და სანერგეებში.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში მეჩაიეობას მნიშვნელოვანი ხვეულითი წონა აქვს. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები მოწინავეთა და მეცნიერების მიღწევების დანერგვით აუმჯობესებენ ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების აგროტექნიკას და აღწევენ მოსავლიანობის გადიდებას.

განუხრელად იზრდება მარცვლეულის წარმოება. გასულ წელს სიმინდის მოსავლიანობამ ერთიორად და უფრო მეტად გადააჭარბა 1953 წელს მიღწეულ მაჩვენებელს. ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. 1954 წელთან შედარებით შარშან ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა ციტრუსების, ყურძნის, ხილის და ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლიანობა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებასთან ერთად განუხრელად იზრდება კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი. ძაგალთათად, თუ 1953 წელს აფხაზეთის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 275.324.900 მანეთი იყო, 1957 წელს მან 356.800 ათასი მანეთი შეადგინა.

ეს წარმატებანი მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც ხორციელდება საკოლმეურნეო წარმოების მდიდარ შესაძლებლობათა გამოსავლინებლად, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ასამაღლებლად, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გასაიდიდებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებით „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ გადაშლილია ახალი ეტაპი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამ დადგენილებაში საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ხედავენ ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი განვითარების ნათელ პერსპექტივებს.

აფხაზეთის მშრომელებმა განსაკუთრებული ერთსულოვნებით მოიწონეს სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებები. კოლმეურნეობათა და საწარმოდაწესებულებათა მშრომელები მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებანი უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონის კიდევ უფრო ამაღლებას.

მტს-ების რეორგანიზაცია დიდი და პასუხსაგები საქმეა. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭომ თვითეული რაიონის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მისაყიდად. ამ ღონისძიებათა შესაბამისად აფხაზეთის მტს-ებმა 211 ტრაქტორიდან კოლმეურნეობებს გადასცეს 108 ტრაქტორი, აგრეთვე 356 სხვადასხვა მანქანა. მოწინავე კოლმეურნეობებმა, რომლებმაც თავიანთ კრედიტებზე განიხილეს ტექნიკის შეძენის საკითხი, მიიღეს გადაწყვეტილება წელსვე მთლიანად გადაიხადონ მანქანების ღირებულება. ასე მოიქცნენ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის, სოფელ ათარის კამოს სახელობის, გალის რაიონის სოფელ აჩიგვარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობები, სოფელ ქვემო ბარღების კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაი“ და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. 82 კოლმეურნეობიდან, რომლებსაც გადაეცათ მტს-ების ტექნიკა, 62 კოლმეურნეობა მომდინარე წელს გადაიხდის მათ ღირებულებას, 7 კოლმეურნეობა — 1-2 წელიწადში, ხოლო 7 კოლმეურნეობა — 2-3 წელიწადში. მაღალმთიანი სოფლების 61 კოლმეურნეობას, რომლებსაც ტექნიკის სრული დატვირთვით გამოსაყენებლად შესაფერი ფართობები არა აქვთ, მიზანშეუწონლად მიაჩნია ტრაქტორების შეძენა. მათ მომსახურებას გაუწევენ სარემონტო-ტექნიკური სადგურები.

აფხაზეთის კოლმეურნეობათა წინაშე დასახულია ამოცანა უახლოეს წლებში აითვისონ დაჭაობებული და ეკალ-ბარდებით დაფარული მიწები, გააუმჯობესონ სათიბები და საძოვრები. ამისათვის აუცილებელია მძიმე ტრაქტორები, ბულდოზერები, არხსათხრელები, ექსკავატორები და სხვა მანქანები. ეს იარაღ-მანქანები სარემონტო-ტექნიკური სადგურების განკარგულებაში დარჩება. ამასთან ერთად მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ოჩამჩირის მეორე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ბაზაზე შეიქმნას სპეციალური სარაიონთაშორისო სამანქანო-სამელიორაციო სადგური, რომელიც კოლმეურნეობებს ხელშეკრულებით შეუსრულებს სათანადო სამუშაოებს.

მტს-ების რეორგანიზაცია პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის სწორი ორგანიზაციისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუდმივი კადრებით დაკომპლექტების საქმეში. ბევრ კოლმეურნეობას არა აქვს ტექნიკის დამოუკიდებლად შეკეთების შესაძლებლობა. ამიტომ თვითეულ რაიონში არსებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ბაზაზე შეიქმნება სარემონტო-ტექნიკური სადგურები. სარემონტო-ტექნიკური სადგურები მოწოდებული არიან უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არა მარტო ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება, არამედ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ავტომანქანების შეკეთებაც. საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ სარემონტო ბაზის განმტკიცებაზე. ეს ამოცანები შეიძლება გადაჭრათ სამრეწველო საწარმოთა დახმარებით, რომლებსაც შეუძლიათ წარმოებისათვის ზიანის მიუყენებლად საჭირო რაოდენობით გამოჭყონ ჩარხები და მოწყობილობა.

ახლებურად დგება აგრეთვე თვით კოლმეურნეობებში სარემონტო ბაზების შექმნის საკითხი. ახლა, როცა კოლმეურნეობებს აქვთ ტრაქტორები, ავტომობილები და სხვა იარაღ-მანქანები, არ შეიძლება დავეყრდნოთ სასოფლო სამეჯლოს. აუცილებელია კოლმეურნეობებს ჰქონდეთ თავიანთი სამეჯლოები, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ კოლმეურნეობებისათვის ასეთ სახელოსნოებს, ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითით. ამ კოლმეურნეობამ, მთელ აფხაზეთში პირველმა, 20 წლის წინათ შეიძინა ტრაქტორი. სწორედ ამ მანქანასთან მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია არა მარტო კოლმეურნეობის მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობად გადაქცევა (მისი განუყოფელი ფონდი 7.300.000 მანეთს შეადგენს, ხოლო ძირითადი სახსრები — 5.960.000 მანეთს), არამედ მექანიზატორთა კადრების მომზადება და საკოლმეურნეო სარემონტო სახელოსნოს მოწყობაც. სახელოსნოში აქვთ 5 მძლავრი სახარატო ჩარხი, დეტალების ზუსტად გასაზომი სხვადასხვა ხელსაწყო, საჭრელთები, ბურღები, ქლიბები და სხვ. სახელოსნო ამ კოლმეურნეობის გარდა მეზობელ არტელებსა და საწარმოებსაც უწევს მომსახურებას.

კოლმეურნე გლეხობას და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კოლექტივებს ყველა პირობა აქვთ ერთიორად და უფრო მეტად გაადიდონ თამბაქოს, ჩაის, სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა, აღმოფხვრან ჩამორჩენა მეცხოველეობის განვითარებაში. ამ პირობების გონივრულად გამოყენების საუკეთესო გამოხატულებაა ის გადიდებული ვალდებულებები, რომლებიც აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა აჭარის ასსრ მშრომელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად იკისრეს.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის აუცილებელია მკვეთრად გავაუმჯობესოთ სასოფლო პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა. ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ გავაძლიეროთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, გავადიდოთ მათი პასუხისმგებლობა კოლმეურნეობების მდგომარეობისათვის, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადებსა და ხარისხის მტკიცედ დაცვა, მეცნიერებისა და მოწინავეთა მიღწევების ფართო პოპულარიზაცია და წარმოებაში დანერგვა, შეჯიბრების გაშლა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, კოლმეურნეთა აღზრდა მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები ახლა გაცილებით უკეთესად, უნარიანად მუშაობენ, სწორად ახამებენ სამეურნეო საქმიანობას პარტიულ- პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობასთან. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის, გუდაუთის რაიონის ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის, გალის რაიონის სოფელ მზიურის სტალინის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები. პარტიული მუშაობის გაძლიერებამ უზრუნველყო ამ კოლმეურნეობების დაწინაურება, საზოგადოებრივ შრომაში ყველა კოლმეურნის აქტიურად ჩაბმა.

მაგრამ ყველა პირველადი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ასე როდი მუშაობს. შემოწმებით გამოირკვა, რომ გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის ა. წერეთლის სახელობის, სოფელ მერხეულის კოლმეურნეობა „შრომის“ და განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლების პარტიული ორგანიზაციები ჯერჯერობით არ სწავლობენ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის მიზეზებს, არ რაზმავენ კოლმეურნეებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად. ამ დღეებში პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა გულრიფშის რაიონის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მუშაობაზე. აღინიშნა, რომ პარტიის გულრიფშის რაიონული კომიტეტი სუსტად ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის უნარიანად დაყენებაში.

ამჟამად აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები მთელ თავიანთ მუშაობას იქითკენ წარმართავენ, რომ თვითეულ კოლმეურნეს, მექანიზატორსა და სოფლის მეურნეობის მუშაკს გაეცნონ და ღრმად შეასწავლონ ისტორიული სესიის გადაწყვეტილებანი, დარაზმონ მშრომელები პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

მშრომელთა არც ერთი წერილი არ უნდა დარჩეს უპასუხოდ

★ ★ ★

ბოლო მოვუღოთ მშრომელთა მოთხოვნებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას

ყოველდღიურად დიდი რაოდენობით შემოდის მშრომელთა წერილები გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. მუშები, გლეხები, ინტელიგენტები თავიანთ წერილებში წერენ უაღრესად აქტუალურ საკითხებზე, აყენებენ საქმიან წინადადებებს, განაზოგადებენ მოწინავეთა გამოცდილებას, ამჟღავნებენ ნაკლოვანებებს, მოითხოვენ მშრომელთა საჭიროებებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების აღკვეთას და სხვ. ამ წერილების ერთი ნაწილი გაზეთში ქვეყნდება, ბევრი წერილი, სიგნალი და განცხადება კი ზომების მისაღებად ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ეგზავნება.

ხშირია შემთხვევა, როცა მშრომელთა წერილებს, მათს საჩივრებს, წინადადებებსა და სიგნალებს სასურველი შედეგი მოსდევს. ამის საილუსტრაციოდ არა ერთი და ორი კონკრეტული მაგალითის მოყვანა შეგვიძლია.

მაგრამ, სამწუხაროდ, არის ისეთი ფაქტებიც, როცა მშრომელთა წერილები და სიგნალები მიზანს ვერ აღწევს. არაცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ზოგიერთი ორგანიზაცია სრულ ინერტულობასა და შეუწყნარებელ უსულგულობას იჩენს გაზეთის სიგნალებისა და რედაქციის მიერ გადაგზავნილი წერილებისადმი.

„კომუნისტის“ რედაქციას დღესაც არ მიუღია პასუხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში გასული წლის 5 აპრილის თარიღით გაგზავნილ წერილზე, თუმცა ამ ხნის მანძილზე აღნიშნულ სამინისტროს უკვე ოთხი შეხსენება გავუგზავნეთ.

მიუხედავად არაერთგზის შეხსენებისა, პასუხი ჯერაც არა ჩანს პარტიის წალკის რაიკომიდან. ალბათ წალკელი ამხანაგების აზრით, 8 თვე არც ისე დიდი დროა, „კომუნისტის“ რედაქციაში პასუხის გამოგზავნაზე რომ იფიქრონ.

პასუხის გამოგზავნას აგვიანებენ აგრეთვე ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო და სხვ.

რედაქცია სხვადასხვა ორგანიზაციიდან ხშირად იღებს არაფრისმთქმელ პასუხს. ამ პასუხში არ ჩანს, თუ კონკრეტულად რა ღონისძიებები ექნა განხორციელებული ამა თუ იმ ნაკლის აღმოსაფხვრელად, რა ნაბიჯი გადადგა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეს კი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ საკითხი ადგილზე ზერელედ შეისწავლეს და ნაჩქარევად მომზადებული პასუხი მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამოუგზავნეს რედაქციას.

აბა რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ პასუხიდან, რომელიც რედაქციამ ამას წინათ მიიღო ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომისაგან.

„მიღებულია ზომები წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად“. ასეთი პასუხი რედაქციას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებს. თვითეული საჩივრისა თუ თხოვნის უკან მშრომელები დგანან, და არ შეგვიძლია ისინი მხოლოდ და მხოლოდ ასეთი სიტყვებით გავისტუმროთ — „მიღებულია ზომები“.

შეიძლება არაფერი გვეთქვა ამ მაგალითზე, ასეთი შემთხვევა იშვიათი რომ იყოს.

„...მიღებულია ყველა საჭირო ღონისძიება“, — გვწერს პარტიის ყვარლის რაიონული კომიტეტი.

„პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ განიხილა აღნიშნული საკითხი და გაატარა საჭირო ღონისძიებანი გამოვლენებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად“, — ასეთია პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პასუხი და სხვ.

ასეთ লაკონიურობაში ხშირად იფარება მშრომელთა საჩივრისა და სიგნალისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულება, ისეთი მდგომარეობა, როცა მშრომელთა საჩივარსა და სიგნალში აღძრულ საკითხებს ყურადღება არ ექცევა და მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის პრაქტიკულად არაფერი კეთდება.

მშრომელთა წერილებისადმი უყურადღებობისა და უსულგულო დამოკიდებულების მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება. შარშან 18 ივლისს რედაქციამ მიიღო ვაშლოვანის ქ. № 1 სახლის მობინადრეთა კოლექტიური წერილი. „ვცხოვრობთ თბილისში ორჯონიკიძის რაიონში. ჩვენს ეზოში საშინელი სიბინძურეა, — გვწერდნენ ისინი. — საპირფარეშო წყლით არ ირეცხება, რადგან გასაკეთებელია ონკანი. მრავალჯერ მიგმართეთ სახლმმართველ აკოფოვას, მაგრამ იგი ჩვენს თხოვნას ყურს არ უგდებს“.

წერილი ზომების მისაღებად გადავუგზავნეთ ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომს, საიდანაც 8 აგვისტოს ასეთი პასუხი მივიღეთ:

„ვაშლოვანის ქ. № 1 მობინადრეთა კოლექტიურ განცხადებაზე მიღებულია ზომები. განცხადებაში მოყვანილი სამუშაოების შესრულებისათვის წინადადება მიეცა სახლმმართველობა № 193-ის სახლმმართველს დაკმაყოფილოს მობინადრეთა მოთხოვნა“ (სტილი დაცულია).

მას შემდეგ 8 თვე გავიდა, მობინადრეთა მოთხოვნა კი ჯერაც არ არის დაკმაყოფილებული. ამაში დანაშაული პირველ რიგში რაისაბჭოს აღმასკომის იმ ხელმძღვანელ მუშაკს მიუძღვის, რომელმაც განკარგულება გასცა და შემდეგში აღარ იზრუნა მისი შესრულებისათვის. განკარგულების გაცემით მან ფორმალურად მოიხსნა პასუხისმგებლობა მშრომელთა საჩივრის ბედისათვის.

გასული წლის 20 ნოემბერს „კომუნისტში“ დაიბეჭდა რეიდის მასალა თბილისში კომუნალური საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ. ამ წერილის გამო დეკემბრის ბოლო რიცხვებში რედაქციამ მიიღო გამოხმაურებები თბილისის საქალაქო საბჭოსაგან, კალინინისა და სტალინის რაისაბჭოებისაგან. ამ გამოხმაურებებში საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შ. ქოჩლაძე, კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. ტიტვინიძე და სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსი ამხ. ლ. კასრაშვილი გვწერენ, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა განიხილეს საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობის საკითხი და მიიღეს საჭირო ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სინამდვილეში წერილში აღნიშნული ბევრი ნაკლი კვლავ გამოუსწორებელია. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ტექნიკური ქ. № 8. შარშან აგვისტოში დამთავრდა ამ სახლის კაპიტალური რემონტი, რაც 8 თვეს გრძელდებოდა. გარდა იმისა, რომ რემონტი უხარისხოდ გაკეთდა, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მთელი რიგი სამუშაოები მერემონტეებმა შეუსრულებელი დატოვეს. არ დუმთავრებიათ, კერძოდ, საბაბაზნოს რემონტი მესამე სართულზე, იქვე შეუკეთებელი დატოვეს კანალიზაცია, წყალსადენი და სხვ. მიუხედავად ამისა, სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსი ამხ. ლ. კასრაშვილი უპასუხისმგებლოდ გვწერს: „ტექნიკურ ქ. № 8 სახლის კაპიტალური რემონტი სარემონტო კანტორამ ჩაატარა ხარისხიანად და ყველა არსებული დეფექტი ლიკვიდირებული იყო თანახმად საბინაო სამმართველოს მითითებისა“.

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს, ამხ. კასრაშვილო! თქვენ რომ თავი შეგეწუხებინათ და საკუთარი თვალით გენახათ სახლი № 8 ტექნიკურ ქუჩაზე, თქვენ რომ ამ სახლის მობინადრეებს ცოტა ხანს მაინც გასაუბრებოდით, მაშინ შეცდომაში არ შეხვიდოდით და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდებოდით.

პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაკის სახელთან შეუთავსებელია მშრომელთა ინტერესებისადმი, მათი სამართლიანი მოთხოვნებისადმი უსულგულო, არაგულისხმიერი დამოკიდებულება, და ვინც ამ საპატიო სახელს ატარებს მოწოდებულია უყურადღებოდ არ დატოვოს მშრომელთა არც ერთი წერილი და საჩივარი.

★

მაღლს მარილიც მოვაყარეთ

მცხეთის რაიონის სოფელი წიწამური წლების მანძილზე კეთილმოწყობელი იყო. სოფელს სასმელი წყალი აკლდა, შიდასასოფლო და მომიჯნავე გზები სასწრაფო შეკეთებას მოითხოვდა. არ იყო რადიოგაყვანილობა და ელექტროდენი.

ყოველივე ეს წერილობით ვაცნობეთ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას. რედაქციამ მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი — დროულად დაწყებულიყო მუშაობა სოფელ წიწამურის კეთილმოწყობისათვის.

ეს საქმე რაიონის XIII პარტიული კონფერენციის მსჯელობის საგანი გახდა. უკანასკნელი თვეების მანძილზე, კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, წიწამურში დიდი სამუშაოები გაჩაღდა. გამოყვანილ იქნა ელექტროდენი, შეკეთდა გზები, ზედაზნის მთის კალთებიდან კი სოფელში ანკარა წყალი შემოჩუხჩუხდა.

საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადის“ გამგეობამ (თავმჯდომარე დ. ბეღუკაძე) სოფლის დაწყებით სკოლას კოლმეურნეობის კანტორის ნათელი შენობა გადასცა საჩუქრად.

კოლმეურნეები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათი თხოვნა დაკმაყოფილებულია, და მოკლე ხანში სოფელი კოხტა და კეთილმოწყობილი გახდა.

მაგრამ დარჩა კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი, რომლის მოსაგვარებლად სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული ზომები.

საჭიროა მდინარე არაგვზე აიგოს ხიდი. იგი უმოკლესი გზით დააკავშირებს ზაჰესსა და ავჭალას და კოლმეურნეებს შორ მანძილზე მოგლა აღარ მოუხდებათ.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ რაიონის ხელმძღვანელები მშრომელთა ამ მოთხოვნასაც გაითვალისწინებენ და უმოკლეს ხანში მდინარე არაგვზე ხიდი გაკეთდება.

შ. ხუნდაძე,

წიწამურის დაწყებითი სკოლის გამგე.

ყალბისმძღელი მიცემულია პასუხისგებაში

„ერთი სასწორის ისტორია“, — ასეთი სათაურით გამოქვეყნდა გაზეთი „კომუნისტში“ წერილი, რომელიც სამტრედიის სარაიონთაშორისო ცხოველდამზადების ბაზის გამგის კ. თუხარელის დანაშაულებრივ საქმიანობას შეეხებოდა.

როგორც საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. გ. ბიწაძე გვაცნობებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. დადგენილია, რომ ყალბისმქნელმა კ. თუხარელმა, არასწორი სასწორის გამოყენებით, სოფელ ოფითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას სახელმწიფო დამზადებაში ჩასაბარებელ თითო სულ საქონელზე ოც-ოცი კილოგრამი ხორცი დააკლო.

ცხოველდამზადების ბაზის გამგე კ. თუხარელი მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

★ ★

საქმეს არ გვიკეთებენ, უხეშადაც გვეპყრობიან

ოთხოდე წლის წინათ ჩვენს სახლს კაპიტალური რემონტი გაუკეთეს, მაგრამ მერემონტეებმა სამუშაოები ნაჩქარევად, ცუდად შეასრულეს. ამიტომ სახურავში წვიმა ჩამოდის. ეზო სულაც არ შეუკეთებიათ, ქვაფენილი ანგრეულია, გუბეები დგება. საერთო სარგებლობის საპირფარეშო არ ირეცხება. შიგ შეყვანილი არ არის წყალსადენი და მოწყობილი არა აქვს ჩასარეცხი ავზი. ამიტომ ეზოში დიდი უსუფთაობაა. საკანალიზაციო ჭას სახურავი არა აქვს. წინათ ეზოს მეორე მხარეს იყო საპირფარეშო, რომლის აღდგენას დიდი ხანია მოვითხოვთ, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს, — ასეთი შინაარსის წერილით მივმართეთ შარშან ოქტომბერში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

რედაქციამ წერილი ზომების მისაღებად სტალინის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა. აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგემ ნ. ხოჟმაყარაშვილმა და მთავარმა ინჟინერმა ა. ტონიამ წერილობითი დავალება მისცეს რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსს ლ. კასრაშვილს, რომ ეს სამუშაოები სასწრაფოდ შეესრულებინა. სამწუხაროდ, ეს დავალება ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა.

მობინადრეთა სახელით კვლავ განცხადებით მივმართე ამხ. ხოჟმაყარაშვილს, ვთხოვდი — დაგვეხმარეთ, თქვენს განკარგულებას არ ასრულებენ-მეთქი. მაგრამ დაბეთ უბედურებას: კანცელარიაში განცხადება არ მიიღეს, თქვეს, ჩვენთან ასეთი წესია, მთავარი ინჟინრის ა. ტონიას უნებართვოდ განცხადების მიღება არ შეიძლება, მიდით ტონიასთან, რეზოლუცია დაადებინეთო.

ტონიამ განცხადებას რომ დახედა და ზედ წაიკითხა „ასლი: „კომუნისტის“ რედაქციას“, განრისხდა: ამით მაშინებთო, დამიყვირა და განცხადება უკან გადმომიგდო. დაბრუნდა ველოდი, შეურაცხყოფა კი მივიღე. რა არის ეს, თუ არა ბიუროკრატიზმი და თვითნებობა? რატომ არ ზრუნავს ამხ. ხოჟმაყარაშვილი თავისი განკარგულების შესრულებისა და მშრომელთა კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ვინ მისცა ამხ. ტონიას უფლება ამუჩიდ აიგდოს მშრომელები.

ა. გოგბეჯიშვილი,

კლარა ცეტკინის ქუჩა № 99 სახლის მობინადრე (თბილისი).



„რაიკომი ჯეროვნად არ ხელმძღვანელობს მევენახეობის განვითარებას“

საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის ბიუროომ განიხილა „კომუნისტის“ 1957 წლის 27 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „რაიკომი ჯეროვნად არ ხელმძღვანელობს მევენახეობის განვითარებას“ და სწორად ცნო გაზეთის კრიტიკა.

რაიკომის ბიუროომ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი გაზეთის მიერ მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რაიკომის ბიუროს დადგენილებით ანაგის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი დ. ალხანაშვილი, რომელმაც უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, მოხსნილია მდივნობიდან და გამოცხადებული აქვს საყვედური საორიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. შავლაყაძეს მიეთითა, გაფრთხილებულ იქნა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მჭედლიშვილი, რომ სრულ წესრიგზე მოიყვანოს ვაზის სადედე მეურნეობა, წინაღმდეგ შემთხვევაში დაედება მკაცრი პარტიული სასჯელი.

რაიკომის ბიუროომ ჯუგაანის, წნორის რუსთაველის სახელობის, მაჩხაანის მახარაძის სახელობის, ბოდბისხევის სტალინის სახელობის, ულიანოვკის, ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობების, ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ და ანაგის კოლმეურნეობა „შრომის“ თავმჯდომარეებს დაავალა უზრუნველყონ ვენახის გაშენება 1958 წლის გეგმის გადამეტებით 1956-1957 წლების დანაკლისის დასაფარავად.

★

მადლობის გრძნობით

შიშით და კანკალით შევდიოდით ოთახებში, რადგან ჩვენი სახლი ძნელაძის ქ. № 24-ში თითქმის დანგრევის პირზე იყო მისული. დახმარებისათვის ვის არ მივმართეთ, მაგრამ საკითხი მაინც მოუგვარებელი რჩებოდა.

შარშან ჩვენს კანონიერ მოთხოვნას ყურადღება მიაქცია გაზ. „კომუნისტის“ რედაქციამ.

ამის შემდეგ კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველომ სახლი კაპიტალური შეკეთების 1958 წლის გეგმაში შეიტანა და სამუშაოთა დაწყება რაიონის სარემონტო კანტორას წლის დაწყებისთანავე დაავალა.

მართლაც, იანვრის პირველ რიცხვებში ძნელაძის ქ. № 24-ში მოვიდნენ სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი შ. ქაშაკაშვილი, დურგლები მ. ანდრიასოვი, ვ. სულხანიშვილი, მ. გასპარიანი, კალატოზები ნ. სუხოვი, გ. კრავჩუკი და სხვ. მოზიდეს მასალები და ყველა სამუშაო სწრაფად და ხარისხოვნად შეასრულეს.

ეზოში ხშირად მოდიოდა სარემონტო კანტორის მთავარი ინჟინერი ა. გარდახაბაძე, შემკეთებლებს აუცილებელ ტექნიკურ მითითებებს აძლევდა და საჭირო საშენი მასალებით უზრუნველყოფდა. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა სამუშაოს ვადამდე დამთავრება.

გულითად მადლობას გამოვთქვამთ ჩვენი სახლის სწრაფად და ხარისხოვნად შეკეთებისათვის.

შ. ურუშაძე, ნ. თოდუა,

ძნელაძის ქ. № 24 სახლის მობინადრეები.

ვ. გოგოლაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან

სოფლკორი გვწერდა, რომ ახალციხის რაიონის სოფელ სვირის საფერშალო-სამეანო პუნქტის გამგე ვ. გოგოლაძე უხეშად ეპყრობა მაცხოვრებლებს, სათანადო სამედიცინო დახმარებას არ უწევს მათ.

აღნიშნული წერილი შესასწავლად გაეგზავნა ახალციხის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ბალთუერია გვაცნობებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სოფელ სვირის საფერშალო-სამეანო პუნქტის გამგე ვ. გოგოლაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

აღმოვფხვრათ ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი მშრომელთა წერილების განხილვაში

მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა ჩვენს ქვეყანაში ისეთ მაღალ დონეზეა, რომ ორზეც არსად და არასდროს არა ყოფილა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მასების აქტივობისა და ინიციატივის განუხრელად ამაღლებას ამით აღწევენ, რომ ზრდიან მშრომელებს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, თავიანთ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცად ლენინურ მეთოდს.

მშრომელთა აქტივობის გაძოვლინებაა მრავალი წერილი და განცხადება, რომლებითაც ისინი მიმართავენ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს.

მშრომელთა წერილების გარკვეული ნაწილი ზოგჯერ სცილდება ვიწრო ამბებს და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მტკივნეულ საკითხებს მოიცავს. ამიტომაც მშრომელთა წერილებისადმი, განცხადებებისა და საჩივრებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, მათი ყურადღებით და გულმოდგინედ განხილვა ყველა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობაა, მათი საქმიანობის ერთ-ერთი პასუხსაგები და უმნიშვნელოვანესი საკითხია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იშვიათი როდია მშრომელთა ინტერესების შებღალვის, მათი სამართლიანი საჩივრის უგულებელყოფის, მშრომელთა განცხადებებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტები. ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები მშრომელთა სიგნალებისა და განცხადებების, ზემდგომი ორგანოებიდან გადმოგზავნილი მათი საჩივრების განხილვის საქმეს ფორმალურად ეკიდებიან, აგვიანებენ პასუხის გაგზავნას ან გზავნიან არაფრისმთქმელ პასუხს.

1957 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შემოვიდა მშრომელთა 12.833 განცხადება და საჩივარი, რომელთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობისა და კომუნალური მეურნეობის საკითხებს ეხებოდა. ამ განცხადებებისა და საჩივრების მნიშვნელოვან ნაწილზე პასუხი გაცემულია დაგვიანებით.

ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის, საავტომობილო ტრანსპორტის და ზოგიერთი სხვა სამინისტრო, აგრეთვე ზუგდიდის, ახალქალაქისა და ადიგენის რაისაბჭოს, თბილისისა და გორის საქალაქო საბჭოების აღმასკომები დაგვიანებით გზავნიან პასუხს მათთვის გადაგზავნილ განცხადებებსა და საჩივრებზე. მაგალითად, ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომს დღემდე არ გამოუგზავნია პასუხი მოქ. ლ. ქარჩავას განცხადებაზე, რომელიც მას საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოდან 1957 წლის 1 აგვისტოს გაეგზავნა. იმავე აღმასკომიდან არ მიგვიღია პასუხი მოქ. თ. სულტიკოვის განცხადებაზე, რომელიც შარშან 7 აგვისტოს გადაგზავნა.

დღემდე პასუხი არ მიგვიღია ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან მოქ. ა. გენტრემოვიჩის განცხადებაზე, რომელიც 1957 წლის 17 ივლისს გაიგზავნა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან მოქ. გ. ავალიანის განცხადებაზე, რომელიც 4 სექტემბერს გაიგზავნა, თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომიდან მოქ. კ. ძინძიბაძისა (1957 წლის 10 ნოემბერი) და ა. პუგაჩოვას (1957 წლის 29 ოქტომბერი) განცხადებებზე.

ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში საქმიანად არ სწავლობენ მშრომელთა საჩივრებს, მათს განცხადებებში აღძრულ საკითხებს და მხოლოდ ფორმალური და უსულგულო მიმოწერით კმაყოფილდებიან. ამის მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, საავტომობილო-ტრანსპორტის და კულტურის სამინისტროების, თბილისის, ქუთაისის და გორის საქალაქო საბჭოებისა, გარეუბნის, ხაშურის, კაჩრეთის, საგარეჯოს, მარნეულის, ახალქალაქის, ამბროლაურის და ვანის რაიონული საბჭოების აღმასკომების საქმიანობიდან.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1957 წლის 25 სექტემბერს გაეგზავნა მოქ. თ. გაგულაშვილის განცხადება. ავტორი წერდა, რომ აღმასკომმა უკანონოდ მისცა სახლზე დაშენების ნებართვა მოქ. ბათიაშვილს, რომ ეს ნებართვა გაცემულია ნაცნობობით, რომ დაშენება გათვალისწინებულია მისი სახლის ერთ კედელზე დაბჯენით და მას ბინას დაუბნელებს.

თვენახევრის შემდეგ ქუთაისის საქალაქო საბჭოდან მოდის პასუხი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „აღმასკომმა სახლის დაშენების ნებართვა მისცა მოქ. ბათიაშვილს“. (?!). განმცხადებელიც ხომ ამას ჩივის და უკანონოდ თვლის! აღმასკომის ხელმძღვანელებმა პასუხი ამით ამოწურეს და საჭიროდ არა ცნეს დაესაბუთებინათ გაცემული ნებართვის კანონიერება, განცხადებაში მოყვანილი მოტივების საფუძვლიანობა თუ უსაფუძვლობა. ამგვარად, საკითხი კვლავ გაურკვეველი და სადავო დარჩა.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ვაცნობეთ, რომ მისი პასუხი ამომწურავი არ არის და ვთხოვეთ შედეგი დაწვრილებით ეცნობებინა მინისტრთა საბჭოსათვის. ამის შემდეგ თითქმის სამი თვე გავიდა, მაგრამ აღმასკომიდან პასუხი არა ჩანს.

როცა გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოქ. ჩრდილელს მისსავე საკარმიდამო ნაკვეთში მეორე სახლის აშენების ნებართვა მისცა, ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მოტივს, თითქოს მისი სახლი ძველია და ავარიული მდგომარეობის გამო უნდა დაინგრეს. შემდეგში კი გამოირკვა, რომ ძველი სახლის ტექნიკური შემოწმება არ მომხდარა, იგი საცხოვრებლად ვარგისი ყოფილა. ეს ნაოელი გახდა, როცა ჩრდილელმა ახალი სახლის მშენებლობა დაამთავრა და ძველი სახლი გაყიდა. აღმასკომის უკანონო გადაწყვეტილებით მოქ. ჩრდილელს ბინებით სპეკულაციის საშუალება მიეცა.

მოქ. შ. ჩიბრიას განცხადების პასუხად გაგრის რაისაბჭოს აღმასკომმა გვაცნობა, რომ საჩივარში დასახელებული ფაქტები დადასტურდა და მოქ. ექსოზიდის მიერ თვითნებურად აგებული სახლი აღმასკომის განკარგულებით დანგრეულია. ერთი თვის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს პასუხი სიმართლეს არ შეეფერება და თვალსაჩინოა, რომ მოქ. ექსოზიდი თვითნებურად განაგრძობს სახლის მშენებლობას.

შარშან მაისში მასწავლებელმა მ. კაპანაძემ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართა განცხადებით იმის შესახებ, რომ ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომმა დაბა სურამში მას უკანონოდ ჩამოაჭრა 0,06 კვ. მეტრი საკარმიდამო ნაკვეთი. საკითხის ადგილზე შესწავლით მასწავლებელ მ. კაპანაძის პრეტენზია კანონიერად იქნა ცნობილი და ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომს დაევალა ხელახლა განეხილა საკითხი, მაგრამ კაპანაძის საბოლოოდ ეცნობებინა მინისტრთა საბჭოსათვის.

ამის შემდეგ ოთხ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ აღმასკომიდან პასუხი არა ჩანს.

ოთხ თვეზე მეტი გავიდა, ოთხ ასეთი ფაქტი ერთ ადგილზე, ოთხ ასეთი ფაქტი ერთ ადგილზე, ოთხ ასეთი ფაქტი ერთ ადგილზე — ეს ბევრია. ეს ბევრია ამ ოთხ ადგილზე, ეს ბევრია ამ ოთხ ადგილზე, ეს ბევრია ამ ოთხ ადგილზე — ეს ბევრია.

ეს ბევრია, ეს ბევრია, ეს ბევრია,

გამოხმაურება ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე დ. ეიზენჰაუერისადმი

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). საგარეოპოლიტიკურ თემებს შორის გაზეთები მთავარ ყურადღებას უთმობენ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს დ. ეიზენჰაუერისადმი და ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას უნგრეთში, სადაც აღძრული იყო იგივე საკითხები, რაც წერილში.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ თავისი ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობაში წერილის შესახებ მკითხველს მოაგონებს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს მისი 4 აპრილის გამოსვლაში ბუდაპეშტში: „ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს პარტნიორებს: შეწყვიტეთ გამოცდა! მოდით და დღეიდანვე ნუ ვაწარმოებთ წყალბადისა და ატომური ბომბების აფეთქებას და ნუ მოვწამლავთ ატმოსფეროს რადიაქტიურ ნივთიერებათა დაშლის პროდუქტებით... „ამავე დროს გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „გამოაცხადა რა გამოცდის შეწყვეტა, მოსკოვმა უფლება დაიტოვა განაახლოს გამოცდა, თუ შეერთებული შტატები არ მიბაძავენ მის მაგალითს“. „ოფიციალური პირები აღნიშნავენ, — განაგრძობს გაზეთი, — რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხრუშჩოვის წერილში პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი, ისევე როგორც მის 4 აპრილის გამოსვლაში, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი რადიაქტიური ნალექების საშიშროებას. ეს მუდამ იყო ბ-ნ ხრუშჩოვის გამოსვლების თემა“.

გაზეთის სიტყვით, ოფიციალური პირები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი „მიიღებს კონტროლს, მაგრამ მოითხოვს, რომ ჯერ შეერთებულმა შტატებმა მიბაძონ მის მაგალითს და შეწყვიტონ გამოცდა“.

მთელი რიგი გაზეთები, და უწინარეს ყოვლისა „ნიუ-იორკ ტაიმსი“, საბჭოთა კავშირის არაერთგზის მოწოდებას — შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა — კვლავ იფასებს როგორც „საბჭოთა მინვერს“ და „პროპაგანდისტულ დარტყმას“ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებზე. იგივე გაზეთი ჩქარობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი და თეთრი სახლი სსრ კავშირის ახალ წერილს მოეკიდებიან ისე, როგორც წინათ, ე. ი. უარყოფითად.

ნიუ-იორკი. 7 აპრილი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, სენატორმა მინსტოს შტატიდან ჰემფრიმ მოუწოდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს მიიღოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადება იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები შეუერთდნენ რუსეთს, დათანხმდნენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვაზე. ჰემფრის აზრით, უნდა დაწესდეს „ინსპექცია“ ამ აკრძალვის განხორციელებისადმი.

სენატორმა ჰემფრიმ, რომელიც სენატის განაიარაღების ქვეკომისიის თავმჯდომარეა, გააკრიტიკა მთავრობა იარაღის გამოცდის საკითხში „გარკვეული პოლიტიკის უქონლობისათვის“. მთავრობა, განაცხადა მან, „დამბლადაცემულის“ მდგომარეობაში რჩებოდა, მაშინ როცა საბჭოთა კავშირი „ზედიზედ აყენებდა მას პროპაგანდისტულ დარტყმებს“.

სენატორმა ტენესის შტატიდან ე. კეფოვერმა აგრეთვე გააკრიტიკა მთავრობა იმისათვის, რომ მან სსრ კავშირს დაუთმო ინიციატივა. სენატორმა მოუწოდა პრეზიდენტს გამოაცხადოს, რომ გამოცდის იმ სერიის განხორციელების შემდეგ, რომელიც განზრახულია წყნარ ოკეანეში, შეერთებული შტატებიც შეწყვეტენ შემდგომ გამოცდას.

გაიხსნა ინდოეთის კომუნისტური პარტიის საგანგებო მე-5 ყრილობა

დელი, 7 აპრილი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, გუშინ ამრიტსარში გაიხსნა ინდოეთის კომუნისტური პარტიის საგანგებო მეხუთე ყრილობა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს 600-მდე დელეგატი, რომლებიც ჩამოვიდნენ ინდოეთის ყოველი კუთხიდან. პირველ სხდომაზე აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმი, ხელმძღვანელი კომიტეტი და სამანდატო კომისია. გამოაცხადეს, რომ ყრილობამ მიიღო მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, რომელშიც ნათქვამია:

ინდოეთის კომუნისტური პარტიის საგანგებო მეხუთე ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე მშურ სალამს უთვლის ინდოეთის კომუნისტური პარტიის საგანგებო მეხუთე ყრილობას.

ინდოეთის კომპარტია მუდამ იყო და არის იმათ პირველ რიგებში, ვინც იბრძვის თავისი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიული განვითარებისა და უკეთესი მომავლისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესების შესაბამისად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ინდოეთის კომუნისტურ პარტიას უსურვებს შემდგომ წარმატებებს მის ბრძოლაში ინდოელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მისასალმებელი დეპეშები მიღებულია აგრეთვე ჩინგოთის სახალხო რესპუბლიკის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიებისაგან.

საღამოს ამრიტსარში ყრილობის დელეგატების პატივსაცემად გაიმართა 10-ათასიანი მიტინგი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის XVII სესიის გადაწყვეტილებანი

ბუდაპეშტი, 7 აპრილი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა დოკუმენტები, რომლებიც მიიღო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის XVII სესიამ. სესია მიმდინარეობდა ბუდაპეშტში 30 მარტიდან 2 აპრილამდე.

რეზოლუციაში მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის გაძლიერებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების ერთიანი აქტიურული ამოცანების შესახებ ნათქვამია, რომ პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესის დროიდან სულ უფრო მკაფიო ხდება სეროიზული საფრთხე ატომური ომისა, რომლითაც აგრესიული ძალები ემუქრებიან მსოფლიოს.

უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებს არა სურთ უარი თქვან არც ძალის პოზიციის თვალთან პოლიტიკაზე, არც „ცივ ომზე“.

ატომური ომის საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება, რადგან იქმნება მასობრივი მოსპობის სულ ახალ სახეობათა იარაღი, უდიდესი დამანგრეველი ძალის წყალბადის ბომბები და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები. დადგა დრო, ნათქვამია რეზოლუციაში, როცა თერმოატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა გახდა საკითხი, რომლის გადაჭრის გადადება ყოვლად შეუწყნარებელია.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ბონის პარლამენტის ამასწინანდელი გადაწყვეტილებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების ატომური იარაღით აღჭურვის შესახებ უშუალო საფრთხეს უქმნიან ევროპაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას და აძლიერებენ საერთაშორისო დაძაბულობას.

რეზოლუციაში შემდეგ აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება თერმოატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საბჭოთა კავშირის ახალი მშვიდობისმოყვარული აქტია, რომელიც მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი ისწრაფვის იხსნას კაცობრიობა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობების მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელს გახდის გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგას ატომური ომის საფრთხის საბოლოო ლიკვიდაციის საქმეში.

მიჰყვება რა იმ ხაზს, რომელიც დასახა პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესმა, რომელმაც მოითხოვა მოეწყოს ფართო მსოფლიო მოძრაობა განიარაღებისათვის, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომს მიაჩნია, აღნიშნულია რეზოლუციაში, რომ ამჟამად პროფკავშირთა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ მუშათა კლასის მთელი ძალები საერთაშორისო და ეროვნული მასშტაბით გაერთიანდნენ, რათა აწარმოონ ერთობლივი ბრძოლა მოსახლეობის ყველა ფენასთან ერთად, რომელნიც იბრძვიან მშვიდობის დასაცავად, ომისათვის მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ, განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

სეროიზული საშიშროებისა და ხანგრძლივ ფინაშე, რასაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა მოეწყოს ევროპის ქვეყნების პროფკავშირთა და მშრომელთა კონფერენცია, რათა ხელ შეეწყოს მთელი მათი ძალების გაერთიანებას ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეთანხმებენ რა თავიანთ გამოსვლებს, პროფკავშირებმა კიდევ უფრო დიდი გაქანება უნდა მისცენ სახალხო ბრძოლას უმაღლეს დონეზე თანბრის მოწვევისა და სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, რაკეტული ბაზების ლიკვიდაციისა და თერმოატომგულის იარაღიანი თვითმფრინავების ფრენის შეწყვეტისათვის, ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის, მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოების და გამოყენების აკრძალვისათვის, ასეთი იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნისათვის, როგორც ამას ითვალისწინებს რაპაკის გეგმა ევროპისათვის, ყველა ქვეყანას შორის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის.

სესიის მიერ მიღებულ „მიმართვაში დასავლეთ გერმანიის მშრომელებისადმი“ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომი გაფრთხილებას იძლევა იმის შესახებ, თუ რა სეროიზული საფრთხე მოაქვს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის გადაწყვეტილებას დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური იარაღით აღჭურვის შესახებ. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ამ საფრთხის წინაშე მოუწოდებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მშრომელს განახორციელონ უაღრესად გადამწყვეტი ღონისძიებანი და მოქმედება, რათა მიაღწიონ იმას, რომ ბუნდესტაგმა გააუქმოს გადაწყვეტილება ბუნდესვერის ატომური იარაღით აღჭურვის შესახებ.

„განცხადებაში მშრომელთა ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის და საარსებო მოთხოვნებისათვის მათი ბრძოლის განვითარების შესახებ“ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომი აღნიშნავს, რომ პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესის დროიდან კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მთელ რიგ ქვეყნებში ინფლაციასა და ფასების ზრდას უკანასკნელ თვეებში მოჰყვა მყიდველობითი უნარის შემდგომი შემცირება. მშრომელი მასები სულ უფრო მეტ შეშფოთებას გამოთქვამენ ეკონომიური დაქვეითების შედეგებთან დაკავშირებით, რომელსაც უკვე მოჰყვა 5.000.000-ზე მეტი მშრომელის სრული უმუშევრობა ამერიკის შეერთებულ შტატებში და 600 ათასი მშრომელისა კანადაში. უკანასკნელი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი სხვა ქვეყნებშიც, როგორც ევროპა ასევე ნელანდია, ავსტრალია, ბელგია, ჰოლანდია, ფინეთი.

კაპიტალისტური მონოპოლიების საერთო შემოტევის წინაშე, ნათქვამია განცხადებაში, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომი მოუწოდებს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას დაუყოვნებლივ გააერთიანონ თავიანთი ძალები და განამტკიცონ საერთაშორისო სოლიდარობა ყველა მშრომელის ერთიანი მოქმედების გასაძლიერებლად საწარმოთა დახურვისა და მშრომელთა დათხოვნის წინააღმდეგ, უმუშევრობის გამო დახმარების გადიდებისა და გადასახადთა შემცირებისათვის, ხელფასის გადიდებისათვის და სამუშაო დროის შემცირებისათვის ხელფასის შეუმცირებლად.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომმა მიიღო „მიმართვა პირველი მაისის გამო“, რომელშიც მოუწოდა ყველა ქვეყნის მშრომელებს — როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს — 1958 წლის პირველი მაისის დღე გადააქციონ ერთიანობის დღედ, მშვიდობისათვის, თავიანთი მოთხოვნებისათვის ბრძოლის დიად დღედ.

„მოწოდებაში მთელი მსოფლიოს მშრომელებისა და პროფკავშირებისადმი განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ხალხთა მსოფლიო კონგრესის მხარდასაჭერად“ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომმა განაცხადა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მთლიანად უერთდება დიდმნიშვნელოვან დემონსტრაციას მშვიდობის დასაცავად — განიარაღებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ხალხთა მსოფლიო კონგრესს, რომელსაც მშვიდობის მსოფლიო საბჭო იწვევს ამა წლის 16-დან 22 ივლისამდე.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია რეკომენდაციას აძლევს მშრომელებსა და პროფკავშირებს მშვიდობის მომხრეთა ეროვნულ კომიტეტებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ კონგრესის მომზადებაში და გაგზავნონ იქ თავიანთი ერთიანი წარმომადგენლობითი დელეგაციები.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომმა თავის სესიაზე მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება მშრომელი ახალგაზრდობის პირველი მსოფლიო პროფკავშირული კონფერენციის შესახებ, რომელიც გაიმართება პრაღაში 1958 წლის 14-დან 20 ივლისამდე. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომმა განსაზღვრა ამ კონფერენციის დღის წესრიგი და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ღონისძიება, რომელიც შეესაბამება მთელი მსოფლიოს მშრომელი ახალგაზრდობის მისწრაფებას, ხელს შეუწყობს მის ერთიანობას უკეთესი ცხოვრებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და თავისი ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

ბელგიელ ქალთა დელეგაციის ოდესაში ჩამოსვლა

8 აპრილს თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი შეხვდნენ უმაღლესი განათლების მქონე ბელგიელ ქალთა ფედერაციის დელეგაციას, რომელიც ჩამოვიდა მოსკოვიდან ქ-ნი სტელა ვოლფის მეთაურობით. დელეგაცია სსრ კავშირში სტუმრად იმყოფება საბჭოთა ქალების კომიტეტის მოწვევით. დელეგაციაში შედიან ექიმები, მასწავლებლები.

თბილისს აეროდრომზე ბელგიელ ქალთა წარმომადგენლებს საქართველოს დედაქალაქის ქალთა სახელით მიესალმა საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჯაჯახიშვილი.

უმაღლესი განათლების მქონე ბელგიელ ქალთა დელეგაციის მეთაურმა ქ-ნმა სტელა ვოლფმა თქვა, რომ დელეგაციის წევრები მოხარულნი არიან საქართველოში ჩამოსვლის გამო და სულითა და გულით მადლობელი არიან გულთბილი შეხვედრისათვის.

— საბჭოთა კავშირში, — განაცხადა მან შემდეგ, — ყველგან გულითადად მიგვიღეს. მეტად კმაყოფილი ვართ, რომ საშუალება გვაქვს გავეცნოთ საბჭოთა ადამიანებს, პირადი კონტაქტი დავამყაროთ საბჭოთა ქალებთან. (საქდეხი).

• • •

სურათზე: უმაღლესი განათლების მქონე ქალთა ბელგიის ფედერაციის დელეგაციასთან შეხვედრა თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ს. ივანოვისა (საქდეხის ფოტოქრონიკა).

რაფაელის დაბადების 475 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

მშვიდობის დაცვის კომიტეტის გადაწყვეტილებით ამ დღეებში მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა აღნიშნავს დიდი იტალიელი მხატვრის რაფაელ სანტის დაბადების 475 წლისთავს.

7 აპრილს სამხატვრო აკადემიის კლუბში გაიმართა რაფაელ სანტის დაბადების 475 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მოაწყეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ხელოვნების სექციამ, საქართველოს მხატვართა კავშირმა და თბილისის სამხატვრო აკადემიამ. რვა საათისათვის აქ თავი მოიყარეს მხატვრებმა, მწერლებმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, ახალგაზრდობამ.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პროფესორმა ქეთევან ლომთათიძემ.

ვრცელი, საინტერესო მოხსენება რაფაელ სანტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა ხელოვნებათმცოდნე ა. წერეთელმა. რაფაელი ჯუთვნის იმ უდიდეს მხატვართა რიცხვს, — აღნიშნა მომხსენებელმა, — რომლებმაც უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს იტალიის აღორძინების ხანის ხელოვნება და ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. რაფაელი, ისევე როგორც მისი დიდი თანამშემაულენი ჯიტტო, მაზაჩო, ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო, თავის დიდ ხელოვნებაში აესოდა მაღალმორალური ტურ შეხედულებებს მშვენიერებისა და სრულყოფილ სამყაროზე, რწმენას მიწიერი ცხოვრებისა და ადამიანური ძლიერებისადმი. რაფაელი იბრძოდა იტალიის ერთიანობისა და კულტურული დამოუკიდებლობისათვის.

რაფაელ სანტის შემოქმედების მნიშვნელობა შორს სცილდება მისი ქვეყნისა და ეპოქის საზღვრებს. იგი მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი ხელოვანია, რომლის შემოქმედებაც მუდამ უპყრობი და ამაღელვებელი იქნება.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო რაფაელის ნამუშევრებს. დარბაზში, სახელდახელოდ მოწყობილ ეკრანზე, მათი დემონსტრირება ხდებოდა.

დასასრულ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ძალებით გაიმართა კონცერტი.

ლიტვა - საქართველო

ბათუმი. (ხაკ. კორ.). აქ ორ დღეს გრძელდებოდა ლიტვა - საქართველოს მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება.

ასპარეზობა დაიწყო ქალთათვის 100 მეტრზე რბენით. პირველ ადგილზე გამოვიდა ა. ოვიანი (საქართველო). მანვე გაიმარჯვა 200 მეტრზე რბენაში. 400 და 800 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი მივიდნენ ლ. ზაიკინა და ე. ციურიტე (ლიტვა).

ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ლ. ანთაძემ აჩვენა დრო 10,8 წამი, 200 მეტრი 22,4 წამში დაფარა რ. ტრაპაიძემ.

პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსნობის 29 სახეობიდან საქართველოს სპორტსმენებმა 15 სახეობაში პირველი ადგილი დაიკავეს.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, რომლებმაც 159,5 ქულა შეაგროვეს. ლიტვის გუნდი მათ მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა.

გამარჯვებულ გუნდს საზეიმოდ გადაეცა თასი.

ქალიჩა საჭადრაკო ჩემპიონატი

7 აპრილს თბილისის საჭადრაკო კლუბში გაიმართა საქართველოს 1958 წლის პირველობის გათამაშების მეორე ტური ქალთა შორის.

ამ დღის შეხვედრებიდან დამთავრდა მხოლოდ 3 პარტია. ქ. გოგიაევამ ა. ჩაიკოვსკაიას წინააღმდეგ უკეთეს პოზიციაში დაუშვა შეცდომა და დამარცხება განიცადა. თბილისის ჩემპიონმა მ. ტოგონიძემ გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. მან მოუგო გ. ბუცხრიკიძეს. ნ. ფანქველაშვილისა და თ. ბერიშვილის შეხვედრაში გაიმარჯვა ნ. ფანქველაშვილმა.

დანარჩენი პარტიები გადადიდო.

ორი ტურის შემდეგ წინ არიან მ. ტოგონიძე და ა. ჩაიკოვსკაია, რომლებსაც ორ-ორი ქულა აქვთ.

„კომუნისტის“ მორიგი ნომერი გამოვა 11 აპრილს.

რედაქტორი პ. რატიანი.

პეკინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია

სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ვაჭრობის საკითხებზე მოლაპარაკებისათვის ა. წ. 6 აპრილს ღამით მოსკოვიდან პეკინს გაფრინდა საბჭოთა კავშირის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საგარეო ვაჭრობის მინისტრი ამხ. ა. გ. კობლოვი. (საკდესი).

იუგოსლავიის პროფკავშირთა კავშირის ცენტრალური საბჭოს პლენუმზე

ბელგრადი, 8 აპრილი. (ხაკდეხი). როგორც ტანიუგის საგენტო იუწყება, იუგოსლავიის პროფკავშირთა კავშირის ცენტრალური საბჭოს პლენარულ სხდომაზე სვეტოზარ ვუკმანოვიჩი აირჩიეს იუგოსლავიის პროფკავშირთა თავმჯდომარედ.

თავისი თხოვნით ვუკმანოვიჩი განთავისუფლებულია საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

გამრუდებული სამართალი

როგორ წარმოიდგენდა სამამულო ომში დაღუპული სერგო ქერდიკაშვილი, როცა იგი ფრონტზე მიდიოდა, რომ მის ოჯახს ასე აბუჩად აიგდებდნენ, საკუთარი დანაზოგით აშენებულ ბინას მოხერხებული ადამიანები მის ცოლშვილს ხელიდან გამოაცლიდნენ და ერთადერთი გოგონა — დალი სამადლოდ სხვის კარზე აღიზრდებოდა.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: „მე რომ მამა აღარა მყავს, თქვენ ღმერთი არ უნდა გწამდეთო?“ მაგრამ დავანებოთ ღმერთს თავი და ფაქტები ვალაპარაკოთ:

1940 წელს სერგო ქერდიკაშვილმა და მისმა მეუღლემ დარია ქურდოვანიძემ თავიანთი საკუთარი ბინიდან (ორჯონიკიძის რაიონი, ჩაილურის ქ. № 34) ერთი ოთახი მიჰყიდეს კლიმენტ ბეგლარის-ძე ცერცვაძეს 15.000 მანეთად. გარიგებისთანავე 9.000 მანეთი გადაუხადა ცერცვაძემ მეპატრონეებს, ოთახში ჩასახლდა და დანარჩენ 6.000 მანეთს როცა გადაიხდიდა, მაშინ უნდა დაემტკიცებინათ მისთვის ოთახი ნოტარიუსთან.

1941 წელს დაიწყო სამამულო ომი, და ცერცვაძეც ფრონტზე წავიდა, მას 6.000 მანეთი აღარ გადაუხდია, ოთახი გუთავისუფლა პატრონებს და 9.000 მანეთიც უკანვე მოითხოვა. მაგრამ ამ დროს სერგო ქერდიკაშვილი უკვე ომში იყო წასული, საიდანაც აღარ დაბრუნებულა, მარტოხელა დარიამ კი ვეღარ შეძლო 9.000 მანეთის დაბრუნება. როცა ომის დამთავრების შემდეგ ცერცვაძე დაბრუნდა და კვლავ თავისი ფული მოითხოვა, მეტი გზა არ იყო, დარია ქურდოვანიძემ ამ ვალის გადასახდელად თავი შეიკვიწროვა, ის ოთახი, რომელშიც ადრე ცხოვრობდა, მოქალაქე ფარსადანიშვილს მიჰყიდა და თვითონ საცხოვრებლად ცერცვაძის ნაქონი ოთახი იკმარა, მაგრამ ახლა იმაზე შეექმნათ დავა, რომ ცერცვაძე აღარ დასჯერდა 9.000 მანეთს. სასამ იმაზე შეთანხმდებოდნენ, თუ რამდენი უნდა გადაეხადა ქურდოვანიძეს, იგი ავად გახდა და 1946 წლის 11 თებერვლიდან 14 მარტამდე საავადმყოფოში იწვა. სწორედ ამ დროს ისარგებლა ქურდოვანიძის ავადმყოფობით ცერცვაძემ, თერთმეტი წლის გოგონა — დალი თვითნებურად სახლიდან გამოაგდო, ბარგი ქუჩაში გამოუყარა და ოთახი 20.000 მანეთად მიჰყიდა გრიგოლ სეგერიანეს-ძე ბესელიას.

საავადმყოფოდან რომ გამოვიდა ქურდოვანიძე, იგი ბესელიასთან მოლაპარაკებით შეეცადა თავისი ოთახის დაბრუნებას, მაგრამ ვერაფერს გახდა. საჩივარი კი იმ ხანად არ აღუძრავს იმის გამო, რომ ყველა საბუთი, რითაც კი შეეძლო თავისი უფლებები დაემტკიცებინა სადავო ოთახზე, ცერცვაძის მიერ მისი ბარგის თვითნებურად ქუჩაში გამოყრის დროს დაჰკარგოდა.

სასამ სათანადო საბუთებს აღადგენდა, უბინაოდ დარჩენილი ქურდოვანიძე სამუშაოდ, როგორც აგრონომი, ყვარელში წავიდა და ბავშვიც იქ წაიყვანა. რა თქმა უნდა, იქიდანაც არ შეუწყვეტია წერილების წერა ბინის დაბრუნების შესახებ, მაგრამ შორიდან სულ ვერავინ დააჯერა თავის სიმართლეში. 1953 წელს კი აღძრა საქმე ბესელიას ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ, რაზეც მხოლოდ 1956 წლის 7 ივნისს მიიღო საბოლოო პასუხი ქ. თბილისის პროკურატურიდან. ურჩევდნენ მიემართა სახალხო სასამართლოსათვის.

მართლაც, ქურდოვანიძემ მიმართა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს, სადაც 1956 წლის 2 ოქტომბერს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 182-1 მუხლის საფუძველზე გაამათილეს ქურდოვანიძისა და ცერცვაძის გარიგება. ქურდოვანიძეს დააკისრეს 15.000 მანეთის გადახდა ცერცვაძის სასარგებლოდ, ცერცვაძეს დაეკისრეს ბესელიასთვის გადაეხადა 20.000 მანეთი, ხოლო ბესელიას თავისი ფულის მიღებისთანავე უნდა გაეთავისუფლებინა ქურდოვანიძისათვის ოთახი და მოდავეთა შორის აღდგენილიყო პირვანდელი მდგომარეობა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ბესელიამ კასაციის წესით გასაჩივრა უმაღლეს სასამართლოში, მაგრამ სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილი სწორი გადაწყვეტილება იქაც უცვლელად დატოვეს.

ეი აქედან იწყება სწორედ მოხერხებული პირების ოინები. ოთახის დაცლაზე სულაც არ უფიქრიათ. დატრიალდა ბესელია, იპოვნა თავისი ძმაკაცები, დაიწყეს „ფონის“ ძებნა და როდესაც აღმოაჩინეს იგი, საქვეყნოდ დაიკვეხა ბესელიამ: — „ფულსაც უკანვე მივიღებ და მდგმურადაც დავრჩები სადავო სახლშიო!“.

ჯერ იმას შეეცადნენ, რომ ქურდოვანიძეს აღმასრულებელი ფურცელი რაგორმე გვიან მიეღო, ხოლო როდესაც დიდი დაგვიანებით მიიღო და აღმასრულებელს ჩაუბარა სისრულეში მოსაყვანად, აღმასრულებელმა ფული არ გამოართვა ქურდოვანიძეს იმ მოტივით, რომ ჯერ ცერცვაძემ უნდა მისცეს ბესელიას 5.000 მანეთი და მერე შენგან მივიღებ ფულსო.

ასე გაუჭიანურეს საქმე ორთვენახევრის განმავლობაში და მერე უცბად 15 დეკემბრისათვის დაიბარა ქურდოვანიძე აღმასრულებელმა ბარგით ოთახში შესასახლებლად, თან სასწრაფოდ 15 ათასი მანეთი დეპოზიტში შეატანინა.

დიდხანს ნაწამებმა და ავადმყოფმა ქურდოვანიძემ ძლივს შვებით ამოისუნთქა, დანიშნულ დღეს ბარგი მიიტანა და ეგონა ყველაფერი გათავდაო, მაგრამ თურმე ახლა იწყებოდა მისი ამბავი აგდება.

ბესელიამ დეპოზიტიდან 15.000 მანეთი სამმოვნებით მიიღო, მხოლოდ ოთახის დაცლაზე არც ახლა შეუწუხებია თავი. ან რათ უნდა შეეწუხებინა? მისი ხათრით მილიციამაც კი ყური არ გიბერტყა, როცა სასამართლომ ბესელიას გამოსახლებაზე შველა სთხოვა.

ხოლო როდესაც 26 დეკემბერს ნამტარალევმა ქურდოვანიძემ ისევ აღმასრულებელს მიმართა, მან „გულისტკივნელთან“ აჩვენა პროკურორი გიგაურის მიერ ხელმოწერილი განკარგულება ბესელიას გამოსახლების შეჩერების შესახებ და თან ისეთი სახე მიიღო, თითქოს კიდეც შესცოდებოდეს. სინამდვილეში კი ამ „გულკეთილ კაცს“ 8 დეკემბრის თარიღით ხელმოწერილი განკარგულება იმავე დღიდან ჯიბეში სდებოდა, ხოლო 15 დეკემბერს ფული დეპოზიტში შეატანინა და ფულიდანაც ცარიელი დასვა.

ასეთი ყოველისშემძლე გამოდგა მოქალაქე გ. ბესელია და ყველა თავის სასარგებლოდ ამუშავა. გარდა იმისა, რომ თავისი „ფრონტიდან“ ებრძოდა საცოდავ ქვრივ-ობოლს და მათ წინააღმდეგ ბეგრი გაიძვერა დარაზმა, მან ქურდოვანიძის ინტერესების დამცველი, ვეფილი ბ. კვანტარაძეც ცალკე გიობმო და ამ სიტყვებით მიმართა:

— რა უნდა მოგცენ, კაცო, მაგათ, დაანებე თავი მაგ გლახებს, და 5.000 მანეთს მე გაძლევ.

ასეთი კაცი რომ ყველაფერს ჩაიდენს, ეს არც გასაკვირველია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მან თავისი ძმაკაცებით შეცდომაში შეიყვანა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი და შემდეგნაირად შეასწორებინა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საკასაციო კოლეგიის სწორი დადგენილება: დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება გ. ს. ბესელიას ბინიდან გამოსახლებას, გაუქმდეს და ბესელია დარჩეს სადავო ბინაში მდგმურის უფლებით. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს ძალაში უცვლელადო.

ამით ის გამოვიდა, რომ გ. ბესელიას ბინაც მიართვეს და 20.000 მანეთიც. ცერცვაძესაც დაუბრუნეს თავისი ფული. ქურდოვანიძეს კი ორივე ოთახი ხელიდან გამოაცალეს და ფულიც დაკარგვინეს.

რაც შეეხება პროტესტის იმ მოტივს, რომ „ქურდოვანიძე თბილისში არა ცხოვრობს და მას სადავო ბინა პირადად მისი საკუთრებისათვის არ ესაჭიროება, ბესელიას ოჯახი კი შედგება 4 სულისაგან, ასეთი გარემოების არსებობისას სასამართლოს ბესელია უნდა ჩაეთვალა ქურდოვანიძის მდგმურადო“, — უცნაურია, სხვა რომ არა იყოს რა.

ერთი რომ ქურდოვანიძე არ დაუყენეს თბილისში, სახლი წართვეს, ფული დასტყუეს და ახლაც სხვასთან არის შეკედლებული, და მეორე, რაც მთავარია, რა საბაბია ის, რომ ბესელიას ოთხი სულისაგან შემდგარი ოჯახი დარჩეს სადავო